

**სვეტლანა ადამია** /თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი/

**მარიამ კილანავა** /თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი/

### **ფერეიდნელ ქართველთათვის ქართული სალიტერატურო ენის სწავლებასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემური საკითხი**

“ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც ფერეიდანის ქართველობას აკავშირებს ქართულ სულიერ სამყაროსთან; გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი... მალე დაეკარგება მას შეგნება, რომ ის “გურჯია”, როგორც კი გამოესალმება ამ შეგნების ბურჯს, ენას“  
არნოლდ ჰიქობავა

ქართულ უნივერსიტეტში 2012 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივით მოქმედებს ერთწლიანი პროგრამა — უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეთათვის ქართული ენის შემსწავლელი ინტენსიური კურსები, პროგრამა არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას. შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში გაიცემა სერტიფიკატი. პროგრამა განკუთვნილია საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების მიღმა მცხოვრები ავტოქთონი და მიგრანტი ქართველების შთამომავლებისთვის.

ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე ეთნიკური ქართველების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. აგრეთვე, მსმენელს გააცნოს საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი და ქართული ფასეულობები.

უცხოენოვანი სტუდენტისთვის ენის სწავლება მრავალმხრივ საინტერესო პროცესია. საინტერესოსთან ერთად ეს პროცესი სასიამოვნოც არის, მაშინ როცა მსმენელი ქართველია, რომელმაც ქართული ენის მხოლოდ დილექტი იცის, ეს დიალექტი კი სალიტერატურო ენას საუკუნეების წინ დასცილდა.

ქართული ენის სწავლების ერთწლიანი კურსი ქართულ უნივერსიტეტში არ არის მორგებული რომელიმე განსაზღვრულ ასაკობრივ სეგმენტზე, შესაბამისად, მსმენელთა შორის არიან

როგორც ბავშვები, ისე სრულწლოვანნიც; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უფროსი თაობის წარმომადგენელთა დაინტერესება ქართული ენით და მათი ჩაბმა სწავლების პროცესში აიხსენება ისტორიულ სამშობლოსთან სიახლოვის ნოსტალგიური წყურვილით. ახალგაზრდა მსმენელები კი ცდილობენ ისწავლონ მშობლების ენა - ქართული და ის თანამედროვე ცხოვრებაში გამოიყენონ; მათი უმრავლესობა ცდილობს საქართველოში დამკვიდრებას, სამსახურის დაწყებას და აქტიურ ცხოვრებაში ჩართვას, რისთვისაც, პირველ რიგში, სჭირდება ქართული ენის ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენის სწავლების ერთწლიანი კურსის მიზანი ორგვარი აღმოჩნდა, ერთი მხრივ ის ფესვებთან დაბრუნების საშუალებაა, მეორე მხრივ კი მომავლის პერსპექტივა.

დასახებული კონტიგენტისათვის ქართულის სწავლების პრაქტიკაში რამდენიმე ლინგვისტურ-მეთოდოლოგიური საკითხი გამოიკვეთა, რომელთა გააზრება და შეფასება უთუოდ წაადგება ამ საქმეში ჩაბმულ მასწავლებლებს: ფერეიდნელ ქართველთათვის ქართული სალიტერატურო ენის სწავლების პროცესში თავჩენილი რამდენიმე სიძნელიდან გამოვყოფდით მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების საკითხს და მასთან დაკავშირებულ პრობლემას.

მიუხედავად იმისა რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სწავლებას ცალკე რამდენიმე საათი დავუთმეთ და სტუდენტებთან ერთად ამგვარი შესიტყვების ბრუნების საკმაოდ ბევრი მაგალითიც “გავიარეთ“, მაინც ბოლომდე ვერ აღმოიფხვრა ამ ტიპის შეცდომები გაბმულ მეტყველებაში;

ა) პრაქტიკული თუ საგამოცდო დავალების შესრულებისას შეცდომების მეტი წილი, სწორედ, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთანაა დაკავშირებული.

ბ) საგამოცდო ნაწერების შემოწმების დროს მსაზღვრელ-საზღვრული მეტწილად არასწორი ფორმით შეგვხვდა:

“ჩვენ საყვარელი“ /ჩვენი საყვარელი-ს მაგივრად/.

“ახალ ამბებმა“ /ახალმა ამბებმა/.

“თავის ოთახის“ /თავისი ოთახის/

“ღვინოს ვაჭარი“ /ღვინის ვაჭარი/

“ბევრ ამბის“ /ბევრი ამბის/

“ყოველ დღეს“ /ყოველ დღე/

“მაღალის ხმით“ /მაღალი ხმით/

“ერთი დღეს“ /ერთ დღეს/;

გ) შეინიშნება შემდეგი ტენდენცია: შეცდომები ნაკლებია სახელობით ბრუნვაში, მაგალითად: “ერთი კაცი“, “ორი შვილი“, “უფროსი კაცი“, “ჩვენი ფული“, “ჩვენი ქართველები“, “ერთი სოფელი“, “კარგი ამხანაგი“ (იქ ერთი კარგი ამხანაგი გვყვანდა), ორნი კაცნი...

იყო შემთხვევები, როცა კონკრეტული მსაზღვრელ-საზღვრული, კეძოდ, “ჩვენი ფენი“, ერთ-ერთი მსმენელის მეტყველებაში ერთსა და იმავე დროს ორი სხვადასხვა ფორმით დავაფიქსირეთ “ჩვენ ფენით“ და “ჩვენი ფენით“...

დ) შესაბამისად, ფერეიდნელ მოსწავლეთა (მსმენელთა) მეტყველებაში დასახელებული სინტაგმისათვის ტიპობრივი ბრუნების ასეთი მოდელი (სანიმუშოდ ერთ კონკრეტულ წყვილს: “თეთრ ვარდებს“ წარმოვადგენთ):

სახელ. თეთრ-ი ვარდებ-ი

მოთხ. თეთრ // თეთრ-ი // თეთრ-მა ვარდებ-მა (არის თეთრმა ვარდებმა )

მიც. თეთრ // თეთრ-ი ვარდებ // ვარდებ-ს

ნათ. თეთრ // თეთრ-ი ვარდებ-ის

მოქმ. თეთრ // თეთრ-ი ვარდებ-ით

ვით. თეთრ // თეთრ-ი ვარდებ-ად

წოდ. -----

ე) შებრუნებული (ე.წ. პოსტოზიციური) წყობით მსაზღვრელ-საზღვრული მსმენელთა ნაწერებში არ დაფიქსირდა, ცოცხალ მეტყველებაშიც ნაკლებია სუბსტიტუციური წყობის წილი (შესაბამისად მასზე განსაკუთრებული ყურადღება არ გაგვიმახვილებია).

აღსანიშნავია, რომ ფერეიდნელი ქართველების ენობრივ კონცეფციას განაპირობებს მათი მშობლიური დიალექტი, რომელიც მათი ქართველობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. მით უფრო, რომ ჩვენი სტუდენტები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ასაკისანი არიან (მათი ნაწილი 50 წელსაა გადაცილებული), და ამდენად სალიტერატურო ნორმას უკვე სრულიად ჩამოყალიბებული დიალექტური ცოდნით ხვდება; აქ, შეიძლება ითქვას ფერეიდნელობა არაფერ შუაშია, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ გარკვეული ასაკიდან დიალექტიზმებისგან ბოლომდე გათავისუფლებას თითქმის ვერავინ ახერხებს. საქართველოში დაბადებულ-გაზრდილ ადამიანებსაც უჭირთ საკუთარი დიალექტის სიყრმისეული გავლენის ბოლომდე დაძლევა, მით უფრო, თუე ს მცდელობა გვიან ასაკში იწყება.

შესაბამისად, ფერეიდნელებისათვისაც არ არის ადვილი საკუთარ მეტყველებაში ნორმატიული ფორმისაგან განსხვავებული მაგალითის შეცდომად აღქმა. ვინაიდან ისინი წლების მანძილზე, სწორედ, თავისი დიალექტის კანონზომიერებებით ხელმძღვანელობდნენ; ფერეიდნულ დიალექტში კი, ისევე როგორც, ქართული ენის ბევრ სხვა კილოში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფერეიდნულ კილოში “მსაზღვრელ საზღვრულის ბრუნებისას ორი ტენდენცია

იჩენს თავს: თანხმობაზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია ან ფუძის სახით (ერთ მორწყავი ერთი მომრწყველი, ერთ მორწყავმა...) ან სახელობითი ბრუნვის ფორმით /ერთი მორწყავი, ერთი მორწყავმა.../ (ბ. ჯორბენაძე, 1989: 372); აღსანიშნავია, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სწავლებისას სასემინარო მეცადინეობებზე სტუდენტები შეცდომებს ნაკლებად უშვებენ, რადგან განყენებულ მაგალითს წესს ადვილად არგებენ, მაგრამ პრაქტიკულ მეტყველებაში, როდესაც კონტექსტში სხვადასხვა გრამატიკულ საკითხსა და შინაარსზე ნაწილდება სტუდენტის ყურადღება, შეცდომების პროცენტი კვლავ მაღალია.

მართალია, გრამატიკული შეცდომების გამოსწორება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, თუმცა მიღწევადი; ისევე როგორც ქართული ენის გრამატიკის ბევრი პრობლემური საკითხის სწავლების შემთხვევაში, მაგალითად, როგორცაა ე. წ. აბრუპტივების სწავლება, აგრეთვე, მოთხრობითი ბრუნვის თავისებურებებში მოსწავლეთა გარკვევა და სხვ. სასურველი შედეგის მისაღწევად ჩვენ ხშირ გამეორებას მივმართავთ; ვფიქრობთ, არასწორად წარმოთქმული ფრაზის თუ მთელი წინადადების მუდმივად გასწორებას და შემდეგ მათ მიერ სწორი ფორმით კვლავ წარმოთქმას დიდი ძალა აქვს. თითქმის ყოველი ლექციის დროს ვცდილობთ მოსწავლეებს (მსმენელებს) დავანახოთ გრამატიკის ცოდნის საჭიროება ენის პრაქტიკაში გამოყენების საქმეში, მათი მხრიდან არსებითია, იმის შეგნება, რომ თითოეული მათი შეცდომის წყარო გრამატიკის რომელიმე (კონკრეტული მაგალითის მიხედვით) საკითხის სათანადოდ არ ცოდნაა. შესაბამისად, ვცდილობთ, სწავლებისას ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხს მეტი ყურადღება დავუთმოთ.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ **სახელმძღვანელოების ნაკლებობაზე**. ენის ათვისების საქმეში გრამატიკის სწავლების კვალდაკვალ, საჭიროა მცირე მოცულობის ტექსტების გაცნობა მსმენელთათვის. შამწუხაროდ, ქართული ენის სწავლებისთვის გათვალისწინებული სახელმძღვანელოების 2/3 გათვლილია ინგლისურენოვან სტუდენტებზე, 1/3 კი — სხვა დანარჩენი ენების წარმომადგენლებზე.

ჩვენი საქმიანობისათვის სასარგებლო სახელმძღვანელო პროგრამებიდან გამოვყოფთ საქართველოს ენათმეცნიერების ინტიტუტის მიერ შექმნილი ელექტრონულ პროგრამას — „Elearning.ge“, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ განხორციელებულ სწავლების ელექტრონულ ფორმას — „Reading.ge“, რომელთა სამიზნე ჯგუფებსაც წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების (არაქართულები) დაწყებითი

საფეხურის სკოლები, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები და მათი მშობლები. მოცემული ინტერნეტ გვერდები მორგებულია აზერბაიჯანელ და სომეხ მსმენელებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მსგავსი პროგრამები გათვლილია გარკვეული ასაკის ჯგუფზე, ასევე მსმენელთა იმ კატეგორიაზე, რომლებიც ქართულს სწავლობენ, როგორც “მეორე ენას” (ვფიქრობთ უმჯობესია პროგრამას დაერქვას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლება და არა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება). ჩვენ შემთხვევაში ვითარება სხვაგვარია, ჩვენი მსმენელები არიან ზრდასრული ასაკის ადამიანები და ისინი ქართულ ენას სწავლობენ არა როგორც ე. წ. მეორე ენას, არამედ, როგორც მშობლიურ ენას (თითქმის დავიწყებულს).

**ფერეიდნელ ქართველთათვის მიზანშეწონილია არა ინგლისურ, ან სხვა ენოვან მოსწავლეზე (მსმენელზე) მორგებული ლიტერატურული ტექსტებით მშობლიური ენის სწავლება,** არამედ ქართულ ეროვნულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაცნობა; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათთვის განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ისეთი ტექსტები, რომლებშიც საქართველოს ისტორიისა და კულტურული იდეალების ამოკითხვაა შესაძლებელი: “ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, “ცხრა ძმა ხერხეულიძენი“, “ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, “შვლის ნუკრის ნაამბობი“.... განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ისტორიული ხასიათის მოთხრობებისადმი.

**ქართული ენის სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებიც დღეს არსებობს, შედგება თემატური დიალოგებისა და მცირე მოცულობის ტექსტებისაგან.** მაგალითად, როგორცაა: *ჩემი ბიოგრაფია*, *ჩემი ჰობი* და ა.შ..მსგავსი მასალის ათვისების შემდეგ ეტაპზე, ვფიქრობთ, აუცილებელია ლიტერატურული ნაწარმოებების გაცნობა მსმენელთათვის. სასწავლო მასალა მოცულობისა და სირთულის მიხედვით უნდა განაწილდეს; თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ლიტერატურული ნაწარმოებები, მათი მოცულობის სიმცირის მიუხედავად შესაძლებელია ძნელი გასაგები იყოს მსმენელისთვის, შესაბამისად, უნდა არსებობდეს მათი ადაპტირებული ვარიანტიც. სასკოლო ასაკის მოსწავლეზე გათვლილი (ადაპტირებული) ცნობილი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები თანამედროვე სასკოლო წიგნებში უკვე შეტანილია, მაგრამ ყველა ასაკის მსმენელთან მათი გამოყენება შეუძლებელია; აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავსი ფორმით სასკოლო სახელმძღვანელოებში შესული ადაპტირებული ვარიანტები წარმოადგენენ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მოკლე შინაარსს და არა მიახლოებული, გამარტივებული ენით დაწერილ ტექსტებს, ისინი საქართველოში მცხოვრებისკოლის მოსწავლისთვის სრულიად გასაგებია, მაგრამ სხვა ენობრივ სივრცეში გაზრდილი ფერეიდნელი მსმენელისთვის საკმაოდ რთული.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფერეიდნელი ქართველებისთვის ქართული ენის სწავლების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაცნობა წარმოადგენს, აუცილებელია მათი მორგება ფერეიდნელ (ზოგადად “გურჯ“) სტუდენტებზე.

**ქართული ენის შემსწავლელი ერთწლიანი კურსის მიზანი მსმენელის B1 დონეზე მომზადებას გულისხმობს**, შესაბამისად, ერთი და იმავე ტექსტის დონეების მიხედვით ადაპტირება, როგორც ეს მაგალითად ინგლისურენოვანი ლიტერატურის შემთხვევაში ხდება (Starter, Beginner, Elementary, Pre-intermediate, Intermediate, Upper intermediate) აუცილებელი პირობა უნდა იყოს. ზემოთ მოყვანილი დონეების მსგავსად შესაძლებელია (აუცილებელია) ქართული კლასიკური ლიტერატურის ადაპტირება ექვს თუ არა სამ დონეზე მაინც - დამწყები, საშუალო და მაღალი დონე. პირველ, დამწყებ დონეში საშუალოდ 200-300 ახალი სიტყვის გამოყენებაა შესაძლებელი, მეორე, საშუალო დონეში 400-დან 500-მდე, ხოლო მესამე, მაღალი დონის ადაპტირებული ტექსტში სასურველია დაახლოებით 1000-1500 ახალი ლექსიკური ერთეული იყოს.

შესაბამისად, პირველი დონის ანუ დამწყების ჩართვა მომდევნო დონეებისათვის გათვალისწინებულ პროგრამებში ერთწლიანი პროგრამის პირველი სემესტრის ბოლოს საცვებით შესაძლებელია, რადგან ამ დროისთვის მსმენელებმა უკვე იციან წერა-კითხვა; ლიტერატურულ ნაწარმოებთა ადაპტირებული ვარიანტები თემატურ დიალოგებსა და ტექსტებთან ერთად, დამხმარე ლიტერატურის სტატუსით შეიძლება შევიდეს სასწავლო პროგრამაში. მეორე სემესტრიდან კი შესაძლებელია საშუალო, მოგვიანებით კი მაღალი დონის ადაპტირებული ტექსტების გამოყენება სასწავლო პროცესში.

სალიტერატურო ენის ცოდნის გაღრმავება აუცილებელი პირობაა ჩვენი თანამემამულეებისთვის ქართული ნორმირებული მეტყველების სწავლების პროცესში.

მსმენელებთან მუშაობისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს **ადაპტირებული ტექსტებში გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულთა განმარტება**, ტექსტს დართული ლექსიკონის სახით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ მათთვის გაუგებარი სიტყვების განმარტება გვიხდება შუალედური ენის მეშვეობით. ამ შემთხვევაში დრო ეთმობა ერთი ენიდან მეორე ენის დახმარებით მესამე ენაზე გაგებინებას. ჩვენ შემთხვევაში მესამე, საურთიერთო ენა არის ინგლისური, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინგლისური ენა ფერეიდნელ ქართველთა შორის ცოტამ თუ იცის. ამ ენას, საურთიერთო დონეზე ფლობენ მხოლოდ ახალგაზრდა

მსმენელები. შესაბამისად, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის ქართული ენის სწავლების პროცესში აუცილებელ პირობას, ქართული ლიტერატურული ნიმუშების გაცნობის მიზნით წარმოადგენს ქართული კლასიკური ლიტერატურის ადაპტირებული ვარიანტების შექმნა და სასწავლო პროგრამაში ჩართვა; აუცილებელია ადაპტირებულ ტექსტებს თან ერთვის ლექსიკონი, რომელიც, სასურველია, იყოს ქართულ - სპარსული, ქართულ - თურქული ან, სხვა შემთხვევაში, ქართულ - ქართული (სინონიმთა); თუმცა სინონიმური განმარტება სიტყვისთვის ამომწურავი შესაძლოა არ აღმოჩნდეს, მაგალითისთვის მოვიყვანოთ პრაქტიკაში გამოყენებულ აბსტრაქტული ცნების გამომხატველ სიტყვას პატივისცემა, რომლის გაგებინებაც “გურჯი“ ქართველისთვის სათანადო ლექსიკონის დახმარების გარეშე ძნელი აღმოჩნდა.

კლასიკური, თუ სხვა სახის ლიტერატურული ნაწარმოებების მიზნობრივ-ადაპტაციური დამუშავება მეტად შრომატევადი საქმეა, თუმცა ამის ვაკეთება, ვფიქრობთ, აუცილებელია, მით უფრო, რომ საკმაოდ ბევრი გურჯი გამოთქვამს “წინაპრების“ (მშობლიური) ენის შესწავლის სურვილს.

**Svetlana Adamia** /Tbilisi.Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/

**Mariam kilanava** /Tbilisi.Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/

## **Teaching Georgian Literary Language to the Fereydan Georgians**

### Summary

The program ‘Intensive courses of Teaching Georgian language and Georgian History for the compatriots living in other countries’ started in 2012. This is a one-year program. After completing this course, students get certificates.

It was a very interesting process for the teachers to teach Georgian language to the Georgians who had preserved old Georgian dialects. After 400 years it is pleasant to hear Georgian which dates back to 400 years before now.

During the program the teachers faced some problems. These problems were connected with teaching literature and some aspects of grammar. On the one hand, there was no variety of the adopted literary texts in Georgian. The second problem was connected with the grammatical cases which the students found very difficult to learn. The problems should be solved as soon as possible as far as this program is very popular among the students.